1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	14 365.0	14 365.0	10 323.5	71.9%	121 704.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 140 971 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 82 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დაცული ობიექტებიდან შემოსულ განგაშებზე ოპერატიული რეაგირებისა და ობიექტების სრულყოფილი დაცვისათვის განხორციელდა MOTOROLA TETRA-ს რადიოსისტემის დანერგვა.
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის გარშემო და მიმდებარე ტერიტორიაზე (ავტოფარეხი, ავტოსადგომი №1 და პლაცი) (სავარაუდო მოცულობა 6670 კვ.მ.) ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის სამუშაო ოთახებისა და საიარაღოს მოწყობის სარემონტო სამუშაოები, ასევე, დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარდაფ-სართულზე მოსასვენებელი ოთახებისა და სანიტარული კვანძების მოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 20 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის შესყიდვა;
- ტერიტორიულად ძნელად მისადგომი ობიექტების დაცვის ქვეშ აყვანის მიზნით საინკასაციო ოპერაციების შესრულებისა და ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანის შესყიდვა;
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 550 ცალი საკონტროლო პანელი,;
- განხორციელდა (AES) ცენტრალური გარდამქმნელებისა და რადიო მოდულების შესყიდვა.
- განხორციელდა 1 ცალი ტექნიკური საშუალებებით დაცვის სისტემის ცენტრალური მიმღები მოწყობილობის და 2 ცალი მართვადი კომუტატორის შესყიდვა.